ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–83

ქ. თბილისი; **27 აპრილი, 2021 წ. 12:00 სთ.**

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
გიორგი ჩაკვეტაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი – **თემურ ბოლოთაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **ლევან მიქავა**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ საკითხი;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკისრეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2კატეგორია) მგზავრთაგადაყვანისასმგზავრობისტარიფებისდამტკიცებისშესახებ”ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3კ ატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგიროგზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძი სგამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2და M3კატეგორიებისავტოსატრანსპორტოსაშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე 12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკურიან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ”ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსდაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში

გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის, კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.003.01.531 და N01.11.10.001.003.01.530) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგანკარგულები სპროექტი.

14. "ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, VII, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.001)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

15. "ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.010.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქთბილისისსაკრებულოსგანკარგულებისპროექტი;

16. „თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით,შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ 204460957) და შპს ,,ანაგი დეველოპმენტი 1"-ის (ს/კ 404567713)მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ბავშვთა ქალაქ ,,მზიურის" მიმდებარედ/ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინამთმშენებლობა ,,ვაკე -94"-ის ტერიტორიას შორის (ს/კ N01.14. 14. 005.197) არსებულ სამშენებლო ობიექტთანმიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით,შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ 204460957) და შპს ,,სოლუმ დეველოპმენტის" (ს/კ 405148086) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N 13-ში (ს/კ N01.11.04.005.194) (ს/კ N01.11.04.005.194) და ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქ. N 29-ში (ს/კ 01.11.10.004.092) არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო–საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 86-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგის რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“.**

მომხსენებელმა ისაუბრა, ანგარიშის საინფორმაციო დოკუმენტითა და შესაბამისი დანართებით წარმოდგენილი საკითხების შესახებ, რაც მოიცავს, ბიუჯეტის ბალანს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ასევე, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) და ამასთან, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინაწლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ;

ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის გეგმის 101,6%–102,9%–იანი შესრულება შეადგინა, ქონების გადასახადის, შემოსავლების, გადასახადებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ფაქტობრივმა შესრულებამ, გრანტების შესრულებამ – 99,8%, სხვა შემოსავლები და შემოსავლები საკუთრებიდან – 100.3 %- 101.4%-ით; პროცენტები – 102.5%–ით, ხოლო ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები შესრულებულ იქნა 102,6%–ით;

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ სანებართვო მოსაკრებლების შესრულებამ შეადგინა 118.4 %, არაფინანსური აქტივების კლება - გეგმის 128.5 %; ფინანსური აქტივების კლებამ – გეგმის 22 %; შემოსულობების ჯამმა კი სულ შეადგინა – გეგმის 103,1 %; გადასახდელებმა – 96,3%, სუბსიდიების გეგმა შესრულდა 99.4%; „სოციალური უზრუნველყოფის“ ღონისძიება შესრულებულ იქნა 98.1 %–ით, რითაც მომხსენებლის მითითებით, დაფინანსებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორებიცაა, კომუნალური სუბსიდირება, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ტრანსპლანტაცია და სხვა.

❖ ლევან მიქავამ, გარდა მითითებულისა, ისაუბრა სხვა პრიორიტეტული მიმართულებების საბიუჯეტო შესრულების ოდენობებზე და აღნიშნა, რომ განათლება შესრულდა გეგმის94.6%-

ით, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 88.6%-ია;საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 95.2%-ით;კეთილმოწყობის ღონისძიებები 97.2%–ით;ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება – 97.4%ით;ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 73.8%; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - გეგმის 97.9%;უფასო სასადილოებით მომსახურება - 99.8 %-ით;

მოხსენების მიწურულს, ბატონმა ლევანმა დაამატა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 2019 წელს წარმატებით დაიწყო თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების აზომვა-აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის ფორმირება GIS პროგრამაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირველი ეტაპი დასრულდა 2019 წელს, დაფინანსებული – 1,700.0 ათასი ლარით, ხოლო მიმდინარე წელს დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების II–III ეტაპები, რაც დაფინანსებულია – 1,020.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საინფორმაციო ანგარიშისა და შესაბამისი დანართებით, მუნიციპალიტეტის 2020 წლის გეგმიური შესრულების პოზიტიური მაჩვენებლები, ამასთან, ყურადღება გაამახვილა იმ პროგრამებზე, რომელთა შესრულება წარმოდგენილია 95%–ზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლებით და გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული განპირობებულ იქნა, პანდემიის გამო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ვინაიდან, არსებულმა მდგომარეობამ იქონია შემაფერხებელი გავლენა გარკვეული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათ შორის, სპორტის, კულტურისა და სხვა მიმართულებების ფაქტობრივად უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებლით შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის მანძილზე განხორციელებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებზე, რაც გულისხმობდა, განათლების, სოციალური თუ ჯანდაცვის მიმართულებებში მოღვაწე მომსახურე პერსონალისათვის ავანსის სახით სახელფასო თანხების გაცემას, მიუხედავად, იმ გარემოებისა, რომ აღნიშნული პირები, პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა ფაქტობრივად.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე დადებითაც შეაფასა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საგანმათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებისათვის ასევე ავანსის სახით სახელფასო ანაზღაურების გაცემის საკითხი, იმის მიუხედავად, რომ სააღმზრდელო პროცესი იყო შეჩერებული, ასევე, ხაზი გაუსვა, საბავშვო–ბაგა ბაღების აღსაზრდელებისათვის განკუთვნილი სასურსათო პროდუქტების მათთვის ინდივიდუალურად გაცემის პრაქტიკას, რითაც, გარკვეულწილად, მუნიციპალიტეტმა და ააიპ – თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტომ, დასაქმებული პერსონალის

დაუღალავი შრომის მეშვეობით, გამოხატა მხარდაჭერა ამ პროცესის მონაწილე ყველა მოქალაქისადმი.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ კომისიამ შეიმუშავებს **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომელიც დანართის სახით დაერთვება საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნას.**

საკითხის მომხსენებელი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ მოსაზრებებს და მისაღებად მიიჩნია, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ, საკითხთან დაკავშირებით მომზადებული განკარგულების პროექტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ საკითხს და კომისიის მიერ მომზადებული პროექტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოს სხდომაზე განხილვა.

<u>**მოისმინეს:**</u>

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის **დღის წესრიგის, რიგით მე–2 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რითაც ცვლილება შედის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) რაოდენობისა და მოძრაობის მარშრუტების ნაწილში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილებები წარმოდგენილია, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და ადგილი აქვს დადგენილების მოქმედ რედაქციაში შემდეგი ხასიათის ცვლილებების განხორციელებას:

- დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტებიდან (დანართი 1) ხდება **ავტობუსების №8, #48, #66, #76 მარშრუტების ამოღება,** რაც გამოწვეულია მგზავრებისათვისათვის მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოძრავ შემადგენლობებს შორის ინტერვალის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული, დანართი 2-ში ასახული ავტობუსების (M_2 კატეგორია) №408

(რომელიც სრულად იმეორებს ავტობუსების (M_3 კატეგორია) №8 მარშრუტს), №448 (რომელიც ანაცვლებს ავტობუსების (M_3 კატეგორია) №48 მარშრუტს), №466 (რომელიც ანაცვლებს ავტობუსების (M_3 კატეგორია) №66 მარშრუტს) და №429 (რომელიც სრულად იმეორებს ავტობუსების (M_3 კატეგორია) №76 მარშრუტს) მარშრუტების ამოქმედებით.

- დანართი 1-ში შემავალი ავტობუსების (M_3 კატეგორია) №1, #2, #3, #6, #11, #15, #54 მარშრუტებიდან**ხდება საშუალო ტევადობის ავტობუსებით მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ამოღება** და რჩება მხოლოდ დიდი ტევადობის ავტობუსებით მომსახურებისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობები;

- ავტობუსების (M_3 კატეგორია) №17, #34, #58, #59, #60, #62, #84, #121 მარშრუტებში**საშუალო ტევადობის ავტობუსებთან ერთად გათვალისწინებული იქნება დიდი ტევადობის ავტობუსები,** რაც გამოწვეული მიმდინარე პერიოდში BMC მარკის ავტობუსების შემოყვანით და განსახორციელებელი ჩანაცვლებებით, რაც ასახულია დანართი 1-ში;

- ასევე, პროექტის დანართი 1-ის შენიშვნის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მინიჭება უფლებამოსილება** ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით – განკარგულებით, **შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები,** განახორციელოს მარშრუტზე ერთი ტევადობის ავტობუსის სხვა ტევადობის ავტობუსით ჩანაცვლება და შეიტანოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში. იგივე ცვლილება შედის დანართი 2-ის შენიშვნის პირველ პუნქტშიც.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემა ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანი უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–3 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, **რითაც**

ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) რაოდენობასა და მოძრაობისმარშრუტებში შემდეგი ხასიათის ცვლილებები:

- ლოტი №1 - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში დანართი 2-ში ასახული №447 მარშრუტი იწვევს დადგენილების დანართი 1-ში მე-4 ლოტში ასახული №47 მარშრუტის გაუქმებას ძირითადი გზასავალის სრული თანხვედრის გამო. ახალი მარშრუტით გაუმჯობესებული იქნება მომსახურება.

- ცვლილება შედის რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსების (M_2 კატეგორია) №401, #425,#447, #509, #510, #582 დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებულ მარშრუტებში;

- ცვლილება შედის დანართი 3-ში და ემატება ერთი სვეტი (№4), სადაც დამატებით განისაზღვრება მარშრუტის დაწყების პუნქტილ

- დანართი 1-ის შენიშვნის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით – განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები, ემატება სხვა უფლებამოსილება კერძოდ, განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში. იგივე ცვლილება შედის დანართი 2-ის შენიშვნის პირველ პუნქტშიც.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ აღნიშნა, პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის

უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–4 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა, პროექტის გამომწვევ ღონისძიებებზე და მიუთითა, რომ სააგენტოს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ წერილობით ეცნობა, მთავრობის განსაზღვრული განკარგულებების შესაბამისად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" კაპიტალში უნივერსიტეტი-ბაგების დამაკავშირებელი საბაგირო გზის უძრავი (ნაწილი) და მოძრავი ქონების შემოტანის საკითხი. სააგენტოსთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ დღეის მდგომარეობით აღნიშნული საბაგირო გზა ტექნიკურად გამართულია და მზადაა ფუნქციონირებისთვის, მაგრამ აღნიშნული საბაგიროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მგზავრობის ტარიფი ამ ეტაპზე დადგენილი არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მოსაზრებით, უნივერსიტეტი-ბაგების საბაგირო გზის მდებარეობის გათვალისწინებით, კომპანიის მოსაზრებით, იგი უფრო მეტად შეასრულებს მუნიციპალური ტრანსპორტის და არა ტურისტულ/გასართობ ობიექტებთან დამაკავშირებელ ფუნქციას, როგორიცაა მაგალითად „რიყე-ნარიყალას" საბაგიროს შემთხვევაში, შესაბამისად, ამეტაპზე კომპანიას შესაძლებლად მიაჩნია მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს „ჭავჭავაძის გამზირი - კუსტბა" საბაგირო გზით მგზავრობის ღირებულების ანალოგიურად - **1 (ერთი) ლარის ოდენობით.**

მომხსენებელმა დაამატა, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ოპერირებაში მყოფი საბაგირო გზებით მგზავრთა გადაყვანა განსაზღვრულია საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებშირეგულირებად ეკონომიკურ სფეროდ, ხოლო, მგზავრობის სათანადო ტარიფის განსაზღვრის მიზნით, ქალაქ თბილისისმერია მშეიმუშავა და წარუდგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას შესაბამისი დადგენილების პროექტი, ხოლო საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილება „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში.

მომხსენებელმა მიუთითა, აღნიშნულთა გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, ასევე, საჭიროა ცვლილებების შეტანა, წარმოდგენილი პროექტის სახით, **ქალაქ თბილისის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაშიც, რითაც** იცვლება:

- დადგენილების სათაურში ხდება საბაგირო გზის „უნივერსიტეტი-ბაგები" მითითება;

- ცვლილება შედის დადგენილების პრეამბულაში ქალაქთბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მითითების ნაწილში,მსგავსი ცვლილება ხორციელდება დადგენილების პირველ მუხლში, 4^1 მუხლის პირველი პუნქტში, მე-5 მუხლის პრეამბულაში, მე-6, მე-8, მე-18–20^2 და 22-ე მუხლებში;
- იცვლება დადგენილების 21-ე მუხლიც, რის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისტრანსპორტისადაურბანული განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს მხოლოდ ამ დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ უფასო ან/და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით, ასევე ფასდაკლების სისტემით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის (მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) და M_3კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას – 0,5 ლარი, **ხოლო საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას - 1,0 ლარი) შესავსებად თანხების ანაზღაურება;**
- ცვლილება ხორციელდება დადგენილების 21^2 მუხლში, რის თანახმადაც,სააგენტომ, უნდა უზრუნველყოს მხოლოდ ამ დადგენილების 20^1 და 20^2 მუხლების შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი ქვეპროგრამიდან, დადგენილ ტარიფამდე/ფასამდე თანხის შევსების მიზნით M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, **საბაგირო გზით„უნივერსიტეტი-ბაგები“** მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი მგზავრობით და მე-3 მუხლით გათვალისწინებული ფასდაკლების სისტემით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის/ფასის სრული ოდენობის თანხების თავის ანგარიშზე გადატანა, შემდგომში მოქმედი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ და სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი იურიდიული პირებისთვის ანაზღაურების მიზნით.

ვასულ აბულაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ 2021 წლის 12 აპრილის №21.474.530 განკარგულებით მოწონებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი, რომლის ამოქმედებისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისისახსრების გათვალისწინება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლმა განიცადოს ცვლილება და მიეთითოს, რომ „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 19 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.“

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისსხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–5 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტობუსებისათვის ილია ჭავჭავაძის გამზირზე შეიცვალა მოძრაობის ორგანიზება - გზის შუა ნაწილში, სატრანსპორტო მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გამოიყო სპეციალური ზოლები ზემოაღნიშნული ავტობუსების მოძრაობისთვის და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურით ავტობუსის გაჩერებები, რამაც გამოიწვია ავტობუსის გაჩერებების ამჟამად დამისამართებული ადგილების ცვლილებები, ზოგიერთის გაუქმება და ახლის განსაზღვრა, შემდეგი სახით:

- ილია ჭავჭავაძის გამზირი №1-ის (სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპ.) ნაცვლად არის ილია ჭავჭავაძის გამზ. №1-ის მიმდებარედ, თსუ I კორპუსის მიმდებარედ;
- გაუქმდა გაჩერება ილია ჭავჭავაძის გამზირი №29;
- ილია ჭავჭავაძის გამზირი №35-ის ნაცვლად – ილია ჭავჭავაძის გამზ. №33-35-მიმდებარედ;
- გაუქმდა ილია ჭავჭავაძის გამზირი, სამების ეკლესია;
- ილია ჭავჭავაძის გამზირისა და ყიფშიძის ქუჩის გადაკვეთის ნაცვლად – ილია ჭავჭავაძის გამზ. 37ა-ს მიმდებარედ;
- ილია ჭავჭავაძის გამზირი №41–ის ნაცვლად – ილია ჭავჭავაძის გამზ. №41-ის მიმდებარედ;
- დაემატა ილია ჭავჭავაძის გამზ. №41-ის მოპირდაპირედ;ილია ჭავჭავაძის გამზ. №43-ის მოპირდაპირედ;ილია ჭავჭავაძის გამზ. №43-ის მიმდებარედ;
- ილია ჭავჭავაძის გამზირი №76-ის ნაცვლად – ილია ჭავჭავაძის გამზირი №76-ის მიმდებარედ;
- დაემატა ილია ჭავჭავაძის გამზირი №76-ის მოპირდაპირედ;
- ილია ჭავჭავაძის გამზირი №72-ის ნაცვლად არის ილია ჭავჭავაძის გამზ. 68-ის მიმდებარედ;
- გაუქმდა ილია ჭავჭავაძის გამზირი №64; ილია ჭავჭავაძის გამზირი №44;

- განხორციელდა ცვლილებები გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის და ილია ვეკუას ქუჩებზე, სადაც გამოიყო სპეციალური ზოლები რეგულარული სამგზავრო გადაყვანისM2და M3კატეგორიებისავტობუსებისათვისსატრანსპორტო მოძრაობის საწინააღმდეგოდ და მოეწყო ავტობუსის გაჩერებები შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ავტობუსის გაჩერებების მისამართებია:
- ომარ ხიზანიშვილის ქ. 16 -ის მოპირდაპირედ; ომარ ხიზანიშვილის ქ. 46 -ის მოპირდაპირედ; ომარ ხიზანიშვილის ქ. 35 -ის მიმდებარედ; ომარ ხიზანიშვილის ქ., გლდანის IV მ/რ, სატელეფონო კვანძის პირდაპირ, ომარ ხიზანიშვილის 67-68-ის პირდაპირ; ომარ ხიზანიშვილის ქ. 106ა -ის მოპირდაპირედ; ომარ ხიზანიშვილის ქ. 59 -ის მიმდებარედ; ომარ ხიზანიშვილის ქ. 130-ის მოპირდაპირედ; გლდანის VII-VIII მ/რ-ის შემაერთებელი გზა; ილია ვეკუას ქ. 149 -ის მოპირდაპირედ;ილია ვეკუას ქ. 54 -ის მიმდებარედ - ილია ვეკუას ქ. 46 -ის მიმდებარედ; ილია ვეკუას ქ. 38 -ის მიმდ. ილია ვეკუას ქ. 30-ის მიმდ. ილია ვეკუას ქ. 24 -ის მიმდ. ილია ვეკუას ქ. 14-ის მიმდ. ილია ვეკუას ქ. 4-ის მიმდ. მ/ს "ახმეტელის თეატრის" წინამდებარე ტერიტორია.

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, შესაბამისი დანართი დადგენილ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ 2021 წლის 12 აპრილის N21.471.534 განკარგულებით, რაც დასამტკიცებლად წარმოედგინა საკრებულოს, ამასთან, დასძინა, რომ პროექტის მიღება (ამოქმედება) არ გამოიწვევს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გაღებას და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა ავთანდილ ცინცაძემ დამაზუსტებელი ხასიათის კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რამ გამოიწვია აღნიშნული ცვლილებები.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილებები ხორციელდება საგზაო მოძრაობისას, ავტობუსების გაჩერებისა და მგზავთა უსაფრთხოდ მგზავრობის/ჩამოვლისა და გადადგილების უსაფრთხოების მიზნით, გარკვეულ შემთხვევებში მგზავრთა მხრიდან ადგილი აქვს, წესრიგის დარღვევის შემთხვევებს და ტრანსპორტიდან ისეთ ადგილზე ჩამოსვლას, რაც არ წარმოადგენს გაჩერების ადგილს და იწვევს სატრანსპროტო შემაფერხებელ გარემოებას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

<u>მოისმინეს:</u>

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–6 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც განპირობებულ იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში, წარმოდგენილი პროექტით, განსახორციელებელი ცვლილებებით და იწვევს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტიდან **№47 მარშრუტის ამოღებას,** შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით:

„დ.დ) №№21, 39, 43, 48, 52, 99, 104, 136, 139, 187, 222 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;"

მომხსენებელმა მიუთითა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

<u>მოისმინეს:</u>

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს გააცნო, **დღის წესრიგის რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დადგენილების სათაურის და პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებასა დამე-2 მუხლში, მე-3 პუნქტის შემდეგ 3[1] პუნქტის დამატებას, **რითაც, ხორციელდება:**

- ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ახალი საბაგირო გზა –„უნივერსიტეტი-ბაგები" დამატება;
- მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფის – 1 (ერთი) ლარის ოდეობით, დამტკიცება;
- საბაგირო გზით„უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას ამ დადგენილებით განსაზღვრული თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტებისთვის უფასო მგზავრობის უფლების მიცემა.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის", მგზავრზე ორიენტირებული, ეკოლოგიურად სუფთა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის განვითარების ფარგლებში, დედაქალაქის მასშტაბით საბაგირო გზით მომსახურების გაფართოებისა და განვითარების მიზნით, კაპიტალში უნივერსიტეტი-ბაგების დამაკავშირებელი საბაგირო გზის უძრავი (ნაწილი) და მოძრავი ქონების შეტანის, საბაგირო გზის ექსპლოატაციაში გაშვება/ამუშავების მიმდინარე წლის აპრილის თვეში (საორიენტაციოდ 19.04.2021წ) დაგეგმარების შემდგომ, საბაგიროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მგზავრობის ტარიფი დადგენის საჭიროებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანიის მოსაზრებით, ვინაიდან, ახალი საბაგირო გზა უფრო მეტად შეასრულებს მუნიციპალური ტრანსპორტის და არა ტურისტულ/გასართობ ობიექტებთან დამაკავშირებელ გზას, მიზანშეწონილია, **მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა" საბაგირო გზით მგზავრობის ღირებულება - 1 (ერთი) ლარის ოდენობით. ასევე დასძინა, რომ** ქალაქ თბილისის მერიამ შეიმუშავადა წარუდგინა საქართველოს მთავრობას წარუდგინა დადგენილების პროექტი, ხოლო **საქართველოს მთავრობამ დადგენილება „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**, რითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ „საბაგირო გზა – უნივერსიტეტი – ბაგები".

ვასილ აბულაძემ შემაჯამებელი სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, დადგენილების პროექტი, რომლის **ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია – 2021 წლის 19 აპრილი,** მისი ამოქმედებისთვის საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების გათვალისწინება, ხოლო, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, პროექტის მე-2 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 19 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე."

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–8 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ფ" ქვეპუნქტის მიხედვით, ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობა და არ დაუშვას ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ მგზავრთტევადობაზე მეტი მგზავრის გადაყვანა. იმავე წესის 18[1] მუხლის შესაბამისად 2020 წლის ოქტომბრიდან ჩამოყალიბებული სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა, რომლის ეტაპობრივი დანერგვა ამჟამად მიმდინარეობს, სისტემატურად საჭიროებს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების საქმეში ახალ მიდგომებს და აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხსენებლის განმარტებით,**მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული,**წესის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ფ1" ქვეპუნქტი და ნებართვის მფლობელი ვალდებული გახდეს დაიცვას სანებართვო პირობა, რომლის მიხედვით სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსში მგზავრთა მომსახურებისას არ დაუშვას ფეხზე მდგომი მგზავრ(ებ)ის გადაყვანა.

ვასულ აბულაძემ დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის

უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–9 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან ქალაქ თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, **ძალადაკარგულად ცხადდება** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილება, მის ნაცვლად **მომზადდა** ახალი პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“, რისი ასახვაც უნდა მოხდეს **ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში.**

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებზე, რის მიხედვითაც კოდექსის 134-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, ამ კოდექსის 290^6 მუხლის გათვალისწინებით, განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ხოლო, **ჯარიმების აღსრულების მექანიზმის გაუმჯობესებისა და საჯარიმო ქვითრის/დადგენილების ჩაბარების წესის დახვეწის მიზნით,** კოდექსს დაემატა 290^4-290^6 მუხლები, რომელთა მიხედვით გაიწერა: უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი აღსრულება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას, შესაბამისი საჯარიმო ქვითრის ჩაუბარებლობისას მისი განთავსება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ ელექტრონულ მისამართზე და ამ ინფორმაციის განთავსების შემდეგ გამოქვეყნებული საჯარიმო ქვითრის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამართალდამრღვევზე ჩაბარებულად ჩათვლა, ასევე დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას შეღავათით სარგებლობის წესი, რამაც განაპირობა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და **დადგენილების პრეამბულას შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.**

ვასილ აბულაძემ ასევე დაამატა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისსხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–10 საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ"ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტის მიღება განპირობებულ იქნა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, რომელთა თანახმადაც განისაზღვრა, შემდეგი სახის ღონისძიებები:

- კოდექსის 134-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, ამ კოდექსის 290[6] მუხლის გათვალისწინებით, განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი.
- ამასთან, განისაზღვრა უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების და მისი აღსრულების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების საკითხები, შესაბამისი საჯარიმო ქვითრის ჩაუბარებლობისას მისი განთავსება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ ელექტრონულ მისამართზე და ამ ინფორმაციის განთავსების შემდეგ გამოქვეყნებული საჯარიმო ქვითრის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამართალდამრღვევზე ჩაბარებულად ჩათვლისა და საჯარიმო ქვითრის აღსრულებისას შეღავათით სარგებლობის წესის დამტკიცების ღონისძიებები.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომმუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით ორგანოებს დაევალათ უზრუნველყონ ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებითა და 125[2], 125[4] და 135[1]–135[5] მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში **ვიდეოფირზე ან/და**

ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცება, რაც აღნიშნული იქნა საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის 2021 წლის 26 იანვრის №510/4-9/21 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 2021 წლის 2 თებერვლის №03-03210332 წერილებში.

ვასილ აბულაძემ შემაჯამებელი სახით მიუთითა, აღნიშნულთა გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი, რითაც ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილება, ამასთან,

- **პროექტის მე-2 მუხლის თანახმად,** ქალაქ თბილისის სსიპ – **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განისაზღვრება** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134-ე–135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად;
- **პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მტკიცდება** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134-ე–135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრებისას, მიღებული დადგენილების/მისი გამოტანისთვის აუცილებელი წერილობითი ინფორმაციის ჩაუბარებლობის შემთხვევაში მათი ვებგვერდზე გამოქვეყნების წესი.

ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ წესის მე-2 მუხლის მიხედვით ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს

მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების სააგენტოში გასაჩივრებისას მიღებულ დადგენილებას და მისი გამოტანისთვის აუცილებელ წერილობით ინფორმაციას **სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილი თანამშრომელი უგზავნის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს მითითებულ მისამართზე, ხოლო** ინფორმაციის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტისდოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში ასახვის შემდეგ,მომდევნო სხდომის ჩასატარებლად განსაზღვრულ თარიღამდე სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილი თანამშრომელიმითითებულ მისამართზე განმეორებით აგზავნის ახალ წერილობით ინფორმაციას.

ვასილ აბულაძემ ასევე მიუთითა, რომ თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს დადგენილება ვერ ჩაბარდა მითითებულ მისამართზე და ჩაუბარებლობის შესახებ შესაბამისი დოკუმენტი ელექტრონულად აისახა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში, ამ დოკუმენტის ასახვიდანარაუადრეს 30-ე დღისა და არაუგვიანეს მე-60 დღისა დადგენილება ზემოაღნიშნულ პირსგანმეორებით ეგზავნება მითითებულ მისამართზე, ხოლოდადგენილებისა და წერილობითი ინფორმაციის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ჩაუბარებლობის შესახებ შესაბამისი დოკუმენტი აისახება შესაბამის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში, რის შემდეგაც განმეორებით ჩაუბარებელი დადგენილება ან/და ინფორმაცია განთავსდება ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ საჯარიმო ქვითრების საჯარო გამოქვეყნება და საქართველოს კანონის „ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი" 290^4-290^6 მუხლებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება უნდა მოხდეს თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერზე **www.tbilisi.gov.ge,** ამასთან,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ **– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს** ამ დადგენილების ამოქმედებამდე, ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილების შესაბამისად გასაჩივრებული საქმეების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–11 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რითაც ხორციელდება, დადგენილების მე–2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანულიგანვითარების **სააგენტოს დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა,** რაც გულისხმობს შემდგი სახის ღონისძიებებს:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში) და 135^3 მუხლით (გარდა პირველისა, მე–2 ნაწილითაც) განსაზღვრულ დარღვევებზე საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა და მათი აღსასრულებლად მიქცევა;
- კოდექსის 125-ე მუხლის მე–16 ნაწილებით და 134 (მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში) მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ჯარიმის ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;";
- კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 135^1–135^5 მუხლებით გათვალისწინებული **ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა **ოქმების გამოწერა და მათი აღსასრულებლად მიქცევა;**

ვასილ აბულაძემ ასევე ისაუბრა, პროექტით დაგეგმილ შემდეგ საკითხებზე:

- **სააგენტოს უფროსის კომპეტენცია ხდება დამისთვის დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილებებს ემატება** (კოდექსის სხვა მუხლების გარდა),კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით,135^3 მუხლით (გარდა პირველისა, მე–2 ნაწილითაც)გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზეც გამოცემულ სახდელის დადების შესახებ დადგენილებებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების მიღება და აღსასრულებლად მიქცევა; ასევე, 125-ე მუხლის 16ნაწილით და 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), შეფარდებულ ადმინისტრაციული სახდელისან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას გადაწყვეტილების დადგენილების სახით მიღება;
- **სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური ხდება უფლებამოსილი** – საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე

უფლებამოსილ თანამშრომლებზე გასცეს და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება უზრუნველყოს, კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში) და 135[3] მუხლით (გარდა პირველისა, მე–2 ნაწილითაც) განსაზღვრულ დარღვევებზეც, ასევე, დამატებული მუხლებით განსაზღვრულ დარღვევებთან დაკავშირებითაც, უფლებამოსილია, მოამზადოს **საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებებისპროექტები და ზემოაღნიშნული მუხლებით და 134-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე უფლებამოსილია, მოამზადოს სააღსრულებლო ფურცლებისპროექტები და წარუდგინოს უფლებამოსილ პირს;**

- **აგრეთვე, ხდება უფლებამოსილი,** დამატებული მუხლებით განსაზღვრულ დარღვევებთან დაკავშირებითაც, საჯარიმო ქვითრისშედგენიდან, კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფს გაუგზავნოს ინფორმაცია, ასევე მიაწოდოს, სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაცია;
- **სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახური ხდება უფლებამოსილი** – 125-ე მუხლის 16 ნაწილით და 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში) (დადგენილების მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული მუხლების გარდა) შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას სააგენტოში შესული საჩივრების სამართლებრივი აქტების შესაბამისობის დადგენა და განხილვის უზრუნველყოფა, დაინტერესებული მხარეების მოსმენა, მასალების შეგროვება, უფლებამოსილი პირისათვის წარდგენის მიზნით, ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურისათვის და საქმის განხილვის დროს დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში საქმის მასალების სააგენტოს უფროსისთვის ან სააგენტოს უფროსის მოადგილისთვის წარდგენა, შემდგომში საგამოძიებო ორგანოებში გადაგზავნის მიზნით;"
- **სააგენტოს მონიტორინგის სამსახური ხდება უფლებამოსილი შეადგინოს ოქმები** კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე;
- **სააგენტოს ემატება ახალი – ვიდეოფირით ან/და ფოტოფირით დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სამსახური და განისაზღვრება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები;**
- ამავე სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საჯარიმო ქვითრის – გამოწერიდანკანონით განსაზღვრულ ვადაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინფორმაციის მიწოდება; ასევე, კოდექსის 290[4] მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის ორჯერ ჩაუბარებლობისას საჯარიმო ქვითრის დადგენილი წესით საჯაროდ გამოქვეყნების უზრუნველყოფა ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge;

- კომპეტენციაში შემავალ სამართალდარღვევებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების და სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მის გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა, დადგენილი წესის შესაბამისად;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290[6] მუხლით შესაბამისად მიღებული ინფორმაციის დამუშავება, ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა ფუნქციათა შესრულება.

ვასილ აბულაძემ დასძინა, რომ **დადგენილების პროექტის მიღება განაპიროება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რითაც გაიზარდა, მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ განხილვადი სამართალდარღვევების საქმეების არეალი,** ასევე დასძინა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით 290[4]-290[6] მუხლებით განსაზღვრული პროცედურების განსახორციელებლად საჭიროა ელექტრონული ბაზის არსებობა, რომელზეც ექსკლუზივი განსაზღვრული აქვს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მთავარ სამმართველოს, რომელსაც პროექტის ღირებულებად განსაზღვრული აქვს 98 580 ლარი, რაც შეეხება პროექტით გათვალისწინებულ სააგენტოს ახალ სტრუქტურულ ერთეულს იგი დაკომპლექტდება სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს არსებული საშტატო ნუსხისა და დაფინანსების ფარგლებში.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტი მოწონებულ **ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ,** მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, ამოქმედდება **2021 წლის პირველი ივნისიდან.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ურბანული და ტრანსპორტის განვითარებისსააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისსხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–12 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილების პრეამბულის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რაც განპირობებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში,

ჯარიმების აღსრულების მექანიზმის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელებული შესაბამისი ხასიათის ცვლილებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომზადდა საკრებულოს დადგენილების შესაბამისი პროექტი, რითაც ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილება და მის ნაცვლად მომზადდა საკრებულოს დადგენილების ახალი პროექტი, რომელიც მიეთითება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილების პრეამბულაში.

ვასილ აბულაძემ დასძინა, რომდადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, მისი ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისსხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–13 საკითხად განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მირკორაიონი, კორპუს №23-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ამავე განკარგულებების დანართი №1-ით მოცემულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულმა პირებმა – ლელა კალანდაძემ და მანანა ჯაფარიძემ განცხადებებით მიმართეს გლდანის რაიონის გამგეობას, მათ მიერ დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, გლდანის მე-8 მკ/რ, კორპუსი № 23, სართული 1-ზე მდებარე 84.14 კვ.მ. და 64.28 კვ.მ. ფართის პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით; ხოლო, გამგეობამ საკითხთან დაკავშირებით წერილობით მიმართა სსიპ– ქონების მართვის სააგენტოს.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საცხოვრებელ ფართებში, მოქალაქე ლელა კალანდაძის მიერ 14 (თოთხმეტი) წლის მანძილზე, ხოლო, მანანა ჯაფარიძის 22 (ოცდაორი) წლის

მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტაცია, ამასთან, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას (ლელა კალანდაძის – 2006, ხოლო მანანა ჯაფარიძის – 1996 წლიდან) ადასტურებენ შესაბამისი მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობებით.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრებ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების საკითხის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" დამატების, პროექტის პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების, საპრივატიზებო საფასურის ჩამატებისა და ტექნიკური ხარვეზების გასწორების, განკარგულების პროექტის მე–2 პუნქტის სტილისტურად გამართულობისა და პროექტის დანართი N1–ის ამოღების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისსხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–14 საკითხად განსაზღვრული,**უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, VII,N5, მოქალაქეებისათვის **მაია დობორჯგინიძესათვის** და **ნინო სამხარაძესათვის** რომლებიც 15 წელზე მეტია ფლობენ და სარგებლობენ უძრავი ქონებით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

მომხსნებლის განმარტებით, მითითებულმა პირებმა ისნის რაიონის გამგეობას მიმართეს განცხადებებით, თვითნებურად დაკავებული, პირველ სართულზე მდებარე, **98.70** კვ.მ და **48.37**კვ.მ. ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, გამგეობა არ არის წინაამდეგი განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი პროცედურები.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ გაცემული წერილებით დასტურდება, მაია დობორჯგინიძის მიერ მის ოჯახთან ერთად 2005 წლიდან, ხოლო, ხოლო, ნინო სამხარაძის მიერ – 2008 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ამასთან, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, აღნიშნული პირების 2005 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას, ხოლო, საჯარო საჯარო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, მაია დობორჯგინიძის ოჯახის წევრის რეგისტრირებულია, მისამართზე: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, VII შესახვევი N5ში მდებარე, 47.22 კვ.მ ფართის სარდაფი, ხოლო, ნინო სამხარაძის სახელზე რეგისტრირებულია, მისამართზე: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, VII შესახვევი N5ში მდებარე, 62.16 კვ.მ ფართის სარდაფი.

მომხსენებლის მითითებით, გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის გამართულობა, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის - ტექნიკურად გასწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისსხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–15 საკითხად განსაზღვრული,** უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი,კალოუბნის ქუჩა N36-ში,მე–9 სართულზე, ბინა N37-

შიმდებარე 60.93 კვ.მუძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი)ლარად, **მოქალაქე რუსუდან მჭედლიშვილისთვის**გადაცემის საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, მოქალაქე რუსუდან მჭედლიშვილმა, სამგორის რაიონის გამგეობას მიმართა განცხადებით და ითხოვა, წლების მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, 60.93 კვ.მ. ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოს შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობამ, თხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის მერს.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებული პირის მიერ, 2006 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებენ მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ხოლო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტაციით დასტურდება, რუსუდან მჭედლიშვილის მიერ, 10 (ათი) წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ამასთან, საჯარო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული პირისა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის გამართულობა, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის - სტილისტურად გასწორება.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–16 საკითხად განსაზღვრული,** საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15

იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობის ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის N21.506.612 განკარგულება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი **კომისიის სხდომის N8 ოქმი** და **მიაწოდა მათ, პროექტით წარმოდგენილი საკითხთან დაკავშირებით შემდეგი სახის ინფორმაცია:**

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა" და შპს „ანაგი დეველოპმენტი 1"-მა** და ითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ.N3, ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14,ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ. N16 ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ საკითხის სხდომაზე განხილვის შედეგად გამოიკვეთა **შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**
- ა) კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია (ოქმი N7, 21.09.2020 წ.) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, ზემომითითებულ მისამართებზე;
- ბ) ქალაქ თბილისისმთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ შეთანხმებული შესაბამისი განკარგულებებით, მხარდამჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გასცა პირობადადებული სამშენებლო ნებართვები:
- ბ.ა) ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 - 26.10.2020, ბრძ N 5159968, ბრძ N5159973;ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, - 26.10.2020, ბრძ N5159478; ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 - 26.10.2020, ბრძ N5159727;ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2) - 26.10.2020, ბრძ N 5159537;ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10,- 26.10.2020, ბრძ N 5159464;ამ ეტაპზე ყველა ობიექტზე (გარდა ქ. თბილისი, კოსმონავტების ქN45-47-49 შეთანხმებულია კორექტირებული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა;

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი"–ს მიერ, დარჩენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებისა და შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში შესვლისათვის, შპს „სი ემ სი"-სა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს" , შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან"

აფელირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება (2020 წლის 29 იანვარი; 2020 წლის 20 ოქტომბერი - ცვლილების ხელშეკრულება), რის მიხედვითაც, შპს ,,სიემსი" შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად, **ამასთან, შპს ,,სი ემ სი" ვალდებულია** უზრუნველყოს ტენდერის ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა; ტენდერის კლასიფიკაციები; განმარტებითი შეხვედრების დაგეგმვა და მათი ჩატარების უზრუნველყოფა; ნომინაციები და ტენდერის შედეგების თანახმად გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიის/ების მიერ შესაბამის ობიექტებზე, პროექტით და შესაბამისი თანდართული სამუშაოების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,სი ემ სი"-მ მოამზადა ზემოთწარმოდგენილ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაწყება, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება, რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილი განაცხადითა და საპროექტო წინადადებით, შპს,,ანაგი დეველოპმენტი 1გამოთქვამს მზაობას, განახორციელოს ფინანსური მხარდაჭერა შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით;
- **შპს,,ანაგი დეველოპმენტი 1"-ის საკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, ბავშვთა ქალაქ ,,მზიურის" მიმდებარედ/ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინამთმშენებლობა ,,ვაკე -94"-ის ტერიტორიას შორის არსებული მიწის ნაკვეთი;** აღნიშნული მიწის ნაკვეთზე –**(კ-1) – 0.5;(კ-2)- 3.5;(კ-3) – 0.3; აღნიშნულ მისამართზე** ვრცელდება საცხოვრებელი ზონა - 6. მშენებლობის ნებართვის შესახებ ბრძანება N 4992199 გაცემულია 19.06.2020 წელს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით;
- **შპს,,ანაგი დეველოპმენტი 1" ითხოვს,** მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტის გადამეტებას (კ-2) 3.5-დან 3.75-მდე;**არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას შენობის სიმაღლის და ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმების დაუცველად;
- საპროექტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილია **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა,** რის მიხედვით მისამართზე - ქ. თბილისი, ბავშვთა ქალაქ ,,მზიურის" მიმდებარედ/ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინამთმშენებლობა ,,ვაკე -94"-ის

ტერიტორიას შორის არსებული **მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2021 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 6 813 900 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3,2905) შეადგენს 22 632 369 ლარს.**

- იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს ,,ანაგი დეველოპმენტი 1"-ის საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანაზღაუროს მისამართებზე - შარტავას ქ. N3 პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2 კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. N10, - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 1 603 303 (ერთი მილიონ ექვასას სამი ათას სამას სამი) ლარის ოდენობით;ამასთანავე, შპს ,,ანაგი დეველოპმენტი 1"-ის გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნული თანხა (1 603 303 ლარი) გადაიხადოს მშენებლობის ნებართვების აღებამდე, მოთხოვნისამებრ.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, კომისიამ 2021 წლის 30 მარტის სხდომაზე აღნიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების (მათ შორის ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობების) დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო, ამასთან, ზემომითითებულ მისამართზე, არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო, ხოლო, სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება, **კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:**

- მისამართზე - ქ. თბილისი, ბავშვთა ქალაქ ,,მზიურის" მიმდებარედ/ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინამთმშენებლობა ,,ვაკე -94"-ის ტერიტორიას შორის რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები განხილულ იქნას, როგორც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები;
- შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით:

კომისიის თავმჯდომარემ დასძინა, რომ, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" და შპს ,,ანაგი

დეველოპმენტი 1"-ს ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ბავშვთა ქალაქ „მზიურის" მიმდებარედ/ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინამთმშენებლობა „ვაკე -94"-ის ტერიტორიას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში **განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

- მოხდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით(კ-2) 3.5-დან 3.75-მდე; ორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის განმსაზღვრელი და ავტოფარეხების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები; კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდეს სართულიანობის გაზრდით, არსებული შეთანხმებული პროექტის 1 სართულის გაზრდით;
- შპს „ანაგი დეველოპმენტი 1"-მა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 584 049 (ხუთას ოთხმოცდაოთხი ათას ორმოცდაცხრა) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი", შპს „მარიჯანი", შპს „გეითვეი ჰოლდინგი", შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;
- შპს „ანაგი დეველოპმენტი 1"-მა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, თანხის გადახდის მოთხოვნის და თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადას;
- ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;შპს „ანაგი დეველოპმენტი 1"-მამშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ

იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, სასურველია, ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი პროექტის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2 განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64) კანონმდებლობით დადგენილი წესით."

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსიურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–17 საკითხად განსაზღვრული,**საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობის ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის **N21.505.613** განკარგულება დაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზედაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი **კომისიის სხდომის N8 ოქმი** და **მიაწოდა მათ, პროექტით წარმოდგენილი საკითხთან დაკავშირებით შემდეგი სახის ინფორმაცია:**

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შესაბამისი განცხადებებით მიმართეს შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფმა" და შპს ,,სოლუმ დეველოპმენტმა"** და ითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქN16, მარიჯანის ქუჩა

N2, კოსმონავტების ქN 45-47-49, ბოხუას ქ. N10, არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის 2021 წლის 30 მარტის სხდომაზე განხილვის შედეგად, **გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

- ა) კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია (ოქმი N7, 21.09.2020 წ.) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, შემდეგ მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-4, ბოხუას ქ. N10, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული და საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გასცა პირობადადებული სამშენებლო ნებართვები, ზემომითითებულმისამართებზე, ბრძ. N 5159968, ბრძ. N5159973;ბრძ. N5159478;ბრძ N5159727;ბრძ. N5159537; ბრძ. N5159464;ამ ეტაპზე ყველა ობიექტზე (გარდა ქ. თბილისი, კოსმონავტების ქN45-47-49) შეთანხმებულია კორექტირებული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა;

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფი"-ს მიერ, დარჩენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებისა და შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში შესვლისათვის, შპს ,,სი ემ სი"-ს, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს" და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფთან" აფელირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება (2020 წლის 29 იანვარი; 2020 წლის 20 ოქტომბერი - ცვლილების ხელშეკრულება), რომლის მიხედვით, შპს ,,სიემსი" შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, განმარტებითი შეხვედრების დაგეგმვა,ტენდერის შედეგების თანახმად გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიის/ების მიერ შესაბამის ობიექტებზე, პროექტით და შესაბამისი თანდართული სამუშაოების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობას, 2020 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე, პროექტის ეფექტურად დასრულებისათვის ყველა სხვა ღონისძიებას.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,სი ემ სი"-მ მოამზადა ზემოთწარმოდგენილ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა, ზემოაღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაწყებისათვის თანხების მობილიზებს საჭიროების გათვალისწინებით, განაცხადითა და საპროექტო წინადადებით, შპს ,,სოლუმ დეველოპმენტი" გამოთქვამზაობა, განახორციელოს ფინანსური მხარდაჭერა შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით;

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- **შპს „სოლუმ დეველოპმენტის“ საკუთრებაშია,**ქ. თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N 13-ში არსებული მიწის ნაკვეთი, სადაც, მოქმედი განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით,**(კ-1) – 0,5;(კ-2) - 0.8;**
- ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქ. N 29-ში არსებული მიწის ნაკვეთზე მოქმედი განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, (კ-1) – 0,5; (კ-2) - 4,6; (კ-3) – 0,3; ხოლო,მისამართზე - ქ. თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N 13-ში არსებული მიწის ნაკვეთზე არსებული ზონირების (სზ-2) ფარგლებში არ არის დაშვებული მრავალბინიანი საცხოვრებელი მშენებლობის განვითარება. შპს „სოლუმ დეველოპმენტს“ დაგეგმილი აქვს, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განავითაროს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. როგორც განმცხადებელი განმარტავს, მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არის როგორც დაბალი, ისე მაღალი ინტენსივობის განვითარება (მაქს. - 16 სართული). აღნიშნულ ტერიტორიაზე 8-9 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ერთი მხრივ, განავითარებს უბანს/რაიონს, მეორე მხრივ, ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას;
- **მასალებთან ერთად ასევე წარდგენილ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ზემომითითებული უძრავი ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულების ოდენობები, სადაც,** ექსპერტების მიერ გათვალისწინებულ იქნა მიწის ნაკვეთზე განხორციელებული ხარჯები და მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება დაკორექტირდა 20%-ის ოდენობით;
- **შპს „სოლუმ დეველოპმენტი“ ითხოვს, რომ** მისამართზე - ქ. თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის (სზ-2) ცვლილებას სზ-5 ით;მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის განსაზღვრას კ-2 – 1,8-ით;მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტის განსაზღვრას კ-1 – 0,6-ით;არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას მაქსიმუმ 9 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით;
- იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს „სოლუმ დეველოპმენტის“ საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, **კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანაზღაუროს მისამართებზე** - შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. #10,- არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, 647 603 (ექვსას ორმოცდაშვიდი ათას ექვსას ექვსი) ლარის ოდენობითდა**ააღნიშნული თანხა (647 603 ლარი) გადაიხადოს მშენებლობის ნებართვების აღებამდე, მოთხოვნისამებრ;**
- **ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქN29-ში არსებული მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვა გაცემულია (ბრძ. N5067737) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით. შეთანხმებული პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე დასრულებულია შენობა-ნაგებობის 9 სართული.**დაინტერესებული პირისგანმარტებით, მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული განაშენიანების ინტენსივობის გათვალისწინებით, დასაშვებია მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულიანობის გაზრდა 11 სართულამდე;

მომხსენებელმა ისაუბრა, შპს ,,სოლუმ დეველოპმენტი"-ს მიერ წარდგენილ თხოვნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ **კომპანია ითხოვს:**

- ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქ N 29-ში არსებული მიწის ნაკვეთზეკორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (სართულიანობის11 სართულამდე გაზრდით);
- შეთანხმებული პროექტის ფარგლებში მიწისზედა ავტოსადგომებისთვის გათვალისწინებული სივრცის განსაზღვრას კომერციული ფართებისთვის, რაც კომერციული ფართს ჯამურ ოდენობას ზრდის 250 კვ.მ-ით;
- ავტოფარეხების რაოდენობასთან დაკავშირებით პრეფერენციებს, რამდენადაც კორექტირებული პროექტით, კომერციული ფართის და სართულიანობის (ორი სართული) გაზრდის გამო, ავტოფარეხების რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს;
- შენობა-ნაგებობის უკანა ფასადის მოწყობისას არ იქნას გათვალისწინებული რეგულირების სხივის მოთხოვნები. კერძოდ, შეთანხმებული პროექტით განსაზღვრული ტერასების შესაბამისი ფართის ათვისებას საცხოვრებელი ფართისა და აივნებისთვის, განახლებული არქიტექტურული პროექტის მე-7 სართულიდან მე-11-ე სართულის ჩათვლით;
- მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას კ-1 - 0,7-მდე; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას კ-2 – 5,6-მდე; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი შემცირებას კ-3 – 0,2-მდე;

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქN29-ში მდებარე რეგისტრირებული 1448 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 195 480 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში, შეადგენს 640 138 ლარს; ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს ,,სოლუმ დეველოპმენტის" საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, **კომპანია გამოთქვამს მზაობას,** აანაზღაუროს მისამართებზე - შარტავას ქ. N3; პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16; მარიჯანის ქუჩა N2; კოსმონავტების ქ N 45-47-49; ბოხუას ქ. #10, არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, 139 160 (ას ოცდაცხრამეტი ათას ას სამოცი) ლარის ოდენობით და აღნიშნული თანხაგადაიხადოს მშენებლობის ნებართვების აღებამდე, მოთხოვნისამებრ.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე ისაუბრა, კომისიის მიერ, საკითხთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა შემდეგი:კომისიის მიერ 2021 წლის 30 მარტის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებით, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების (მათ შორის ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობების) დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით

დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო, ასევე, ზემომითითებულ მისამართებზე არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო, ხოლო, სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება, **კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია:**

- ქ. თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N13-ში არსებულ არსებულ მიწის ნაკვეთთან, და ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქ N 29-ში არსებულსამშენებლო ობიექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები განხილულ იქნას, როგორც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები;
- შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნების (N007484220, 007774220) და წარმოდგენილი განმარტებების შესაბამისად, მისამართზე - ქ. თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N13-ში მდებარე რეგისტრირებული 3869 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიან საბაზრო ღირებულებად მიჩნეულ იქნას 202 895 აშშ დოლარი (მასზე განხორციელებული თუ განსახორციელებელი ხარჯების გათვალისწინების გარეშე, როგორც ეს აღნიშნულია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაშიც).

ლევან ჟორჟოლიანმა შემაჯამებელი სახით აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა:შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" და შპს „სოლუმ დეველოპმენტს", ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ.N3; პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქN16; მარიჯანის ქუჩა N2; კოსმონავტების ქ. N45-47-49; ბოხუას ქ. N10, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში**განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

- ქ. თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N 13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.11.04.005.194), არსებული საცხოვრებელი ზონა- 2 (სზ2) შეიცვალოს ფუნქციური ზონით - საცხოვრებელი ზონა 5 (სზ5). ამასთან, მოიხსნას შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა; მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება მოხდეს (კ-1) - 0.5-დან 0,6-მდე;მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობისკოფიციენტის გადამეტება მოხდეს (კ-2) –0.8 დან 1,8-მდე;

- შპს ,,სოლუმ დეველოპმენტმა“ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - **252 500 (ორას ორმოცდათორმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში** - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ შპს „მარიჯანი“, შპს „გეითვეი ჰოლდინგი, შპს „დაკიდებული ბაღები“, შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“, ამხანაგობა „ახალი დიღომი“ ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;
- შპს ,,სოლუმ დეველოპმენტმა“ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, თანხის გადახდის მოთხოვნის და თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქ. თბილისისმთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადას;
- ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა.დ“ და „ა.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულების პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- **ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქ. N 29-ში არსებული სამშენებლო ობიექტზე:**მიწის ნაკვეთის ინტენსივობის **კოეფიციენტის გადამეტება მოხდეს (კ-1) 0.5-დან – 0.7-მდე;** მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება მოხდეს (კ-2) 4.6-დან –5.6-მდე;**მიწის ნაკვეთის **გამწვანების კოეფიციენტი შემცირდეს (კ-3) 0.3-დან – 0,2-მდე; მოხდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. ავტოფარეხების რაოდენობის ცვლილების გარეშე, კომერციული ფართის 250 კვ.მ - ით და სართულიანობის ზრდით (არაუმეტეს 11 სართულისა).** ამასთან: ღია ავტოსადგომების სივრცედ განისაზღვროს შენობა-ნაგებობის ჩრდილოეთ მხარე, შენობის მიმდებარედ წითელი ხაზების ფარგლებში; შენობა-ნაგებობის უკანა ფასადის მოწყობისას არ იქნას გათვალისწინებული რეგულირების სხივის მოთხოვნები;
- შპს ,,სოლუმ დეველოპმენტმა“ და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის **42 496 (ორმოცდაორი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში** - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ქ. თბილისის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“, შპს „მარიჯანი“, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბაღები“, შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს, ამხანაგობა „ახალი დიღომი“, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-სშორის გაფორმებული მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

- შპს ,,სოლუმ დეველოპმენტმა" ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ.ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, თანხის გადახდის მოთხოვნის და თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქ. თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადას;
- განკარგულების კონკრეტული ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებითვე გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- შპს ,,სოლუმ დეველოპმენტმა" მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობისექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, **ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური და პროექტის მე-2 მუხლი, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა – **თემურ ბოლოთაშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიის** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–18 საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისისსაკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც მოწონებულ იქნა **ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ 2021 წლის 26 აპრილის N21.517.626 განკარგულებითდა ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში შესაბამისი ხასიათის ცვლილებათა განხორციელებას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, პროექტის მომზადება განაპირობა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების

(სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი, არასამთავრობო ხასიათის მუდმივი გაერთიანება) სპეციფიკური საქმიანობიდან გამომდინარე უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის საჭიროებამ, ამასთან დასძინა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 37-ე მუხლი ადგენს რეგულაციებს მიწის ნაკვეთის შემოღობვასთან (ღობის მოწყობასთან) დაკავშირებით, ხოლო, დადგენილების **პროექტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ღობის მშენებლობისას დღევანდელი მდგომარეობით მოქმედი მოთხოვნებისგან გამონაკლისის დაშვებას,** კერძოდ:

- **წესების 37-ე მუხლს ემატება მე-7 პუნქტი,** რომლითაც ამავე მუხლის მოთხოვნები არ გავრცელდება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი, არასამთავრობო ხასიათის მუდმივი გაერთიანება) მიერ ღობის მშენებლობისას.

თემურ ბოლოთაშვილმა დაამატა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**